ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 429

"27" დეკემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №72.16.28.180) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს #21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №72.16.28.180) გაცვლის ფორმით პრივატიზებიის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის №19.1086.1395 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №72.16.28.180) გაცვლის ფორმით საპრივატიზებო საფასურით - 65000 (სამოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ჯორჯ ფაჰიმ აზიზ ხალილის (დაბ. 10/08/1960; A21856135) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 739 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.15.003.070) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**